1992

ISSN 0132—5965

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფილოსოფია

№ 7-8 ივლისი - აგვისტო 1992 წ.

წავიკითხოთ! ერთად

შერმადინ ქალდანი

ბავშვებო, ახლა ზაფხულის არდადეგებია. ბევრი თქვენგანი მიაშურებს სოფელს, ზოგი მოსწავლეთა დასასვენებელ სახლებს აირჩევს, ზოგს იქნებ ზღვისკენაც გაუწიოს გულმა, მაგრამ სადაც არ უნდა იყოთ, აუცილებელია გაუფრთხილდეთ გარემოს, ანუ ბუნებას. ბუნებას და ბუნებაში არსებულ ნადირ-ფრინველთა დაცვასა და მოვლა-პატრონობას ადამიანი ოდითგანვე დიდ ყურადღებას უთმობდა.

ამის დასტურია მოსეს — ბიბლიის მიხედვით ძველ ებრაელთა გამათავისუფლებელის, წინასწარმეტყველისა და სჯულმდებლის — სამართლის ერთი მუხლი (მოსეს სჯული მოქმედი სამართალი იყო მთელ ქრისტიანულ სამყაროში. მისი შემოკლებული ტექსტი შეტანილია მეფე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში). ურიგო არ იქნება, დღეს ჩვენ ერთად წავიკითხოთ მოსეს სამართლის ხსენებული მუხლი.

„თუ გზად გადაეყრები ჩიტის ბუდეს, ბარტყებიანს ან კვერცხებიანს, და დედა აზის ბარტყებს თუ კვერცხებს, არ აიყვანო დედა თავის ბარტყებიანა“.

ალბათ ბევრი თქვენგანი ჩაფიქრა საუკუნეთა უწინ ნათქვამმა. ზოგს, ალბათ, ძია შიოს, შიო მღვიმელის ლექსი „პაწია მერცხალიც“ გაახსენდა:

მე პაწია მერცხალი ვარ,
მოჭიკჭიკე, მოალერსე;
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რად მესვრი, ბიჭო სესე?!
სიყვარულით, სიხარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვნესე.
შორით თვალებს გიოცნიდი,
ცის ლაქვარდში ვსრიალებდი,
ჭკიკჭიკობდი, შეგამკობდი,
სულ შენ-შემოგტრფიალებდი.

ცხრა მთა გზიდან მომაცალი,
მოქანცული, მოდალული,
დაბლა-დაბლა ვეშვებოდი,
შენ გეძებდა ჩემი გული.
აი, მოველ, დაგინახე,
გულში ია-ვარდი ვთესე,
ჭკიკჭიკობდი უფრო ტკბილად,
ხმები გავიუკეთესე.
გეფიცები და-ძმობასა,
მხოლოდ ეხლა დავიკვნესე:
არ გრცხვენია, უმიზეზოდ
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

მხატვარი გიორგი როინიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-6049





ნესტანი, სპარტაკი და ამირანი

გრიგოლ ჯულუხიძე

საქართველოსთვის მოვიდნენ,
ჭვანან უძლეველ მეომრებს,
ერთი ძმა ამირანია,
სპარტაკი არის მეორე.
ორთავე მუხლმაგარია,
წარმოსდეგი თვალ-ტანით,
ორივეს ვეფხვის გული აქვს,
უძალტო და გამტანი.
დაც მოევლინათ — ნესტანი,
ახლა კოშკი აქვთ საშენი,
და მზეთუნახავ დაიკოს
კოშკში ჩასვამენ ბავშვები.
ვერვინ გაბედავს მოდწევას
ამ სამეფოსთან ფიქრითაც,
კოშკის და ძმების ამბავი
გავარდა ცხრა მთას იქითაც.
ოცნება, სიტკბო, სიკეთე...
აი, რა უყვართ — სამი რამ...
ზდაპარში უნდათ ცხოვრება
ნესტანს, სპარტაკს და ამირანს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!

აკაკი წერეთელი

მოქადაგე: ბიძინა აკალიფშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭი დრო

აკაკი ფერეთელი



მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა!..
ქართველს ქართველი მოუკლავს
და უპატრონოდ გორავსა.
ნაშობს აღარ სწამს მშობელი,
ძმა ძმაზე ახრჯვნს გბილებსა...
ნეტავი რა აქვსთ სამტერო
ერთი დედ-მამის შვილებსა?
ვისაც კი ნახავ ამ დროში,
ცხოვრების უმადურია,
და ჯავრის ამოსაერწყლად
სუფეულას სისხლი სწყურია!
მაგრამ ვერ არჩევს, მზე-ბნელი,
ვერც მტერს და ვერც მოყვარსა
და ვის მიენდოს, არ იცის,
რომელ ხალხს და რა მხარესა?
ვედარა ჭხედვენ, დაებნათ
სიერო გზა და კვალიცა,
რომ აღარა სწამთ წარსულის,
არ სჯერათ მომავალიცა.
მეტყვიან: დროებითია
ეს ყველა წარმავალიო?

კი, მაგრამ მაშინ რაღა ვქნათ,
რომ წაგვიხდინოს კვალიო?
რაც ათასწლობით აღვნიშნეთ,
ის ამოვიფხროთ სუფეულა
და ვეღარ მივსწვდეთ მომავალს,
გავქრეთ... გავქარწყლდეთ ნელ-ნელა?
აღარვინ ფიქრობს ამაზე,
შორს საკითხია ესაო...
ჩვენ მხოლოდ უნდა ვიზრუნოთ,
რაც ჭშვენის დღეის-დღესაო!..
ასე იმახის სუფეულა,
კაჭკაჭად გადაქცეული,
გულის მაგიერ რომ მხოლოდ
გუჭი ჭეავთ გაღმერთებული.
მზეო, ამოდი, ამოდი!
ნუ ეფარები გორასა!
თორემ სიბნელემ დაგვლია,
ვსდგამთ უგნურების ხორასა!
დრო არის, სწორ გზას დავადგეთ,
გამოვახილოთ თვალები,
რომ მოყვრებს მაინც გადავრჩეთ,
მტრისაგან განაწვალები!
მზეო, ამოდი, ამოდი!
ნუ ეფარები გორასა!
ქართველს ქართველი მოუკლავს
და ჯერაც ავერ ჭგორავსა...

მხატვარი ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპოსტოლი წმინდა პეტრესი ორ დიდ დღესასწაულს აღნიშნავს — ჩვენი უფლის იესო ქრისტეს შერისცვალებას და ჰესი ყოვლადწმინდა დედის, ღვთისმშობლის მიძინებას.

იესო ქრისტეს შერისცვალება

ია მელიქიძე

მაცხოვარს უნდოდა თავისი მოწაფეებისათვის გაეჩხილა მარადიული სიცოცხლის, ზეციური სასუფევლის საიდუმლო. მან უთხრა მოციქულებს, რომ ზოგიერთი მათგანი თავის გარდაცვალებამდე იხილავდა ღვთის სასუფეველს. ამის თქმიდან ექვსი დღის შემდეგ იესო თავის სამ რჩეულ მოწაფესთან-პეტრესთან, იაკობთან და იოანესთან ერთად ავიდა თაბორის მთაზე და აქ მათ წინაშე უჩვეულოდ იცვალა სახე: სრულიად გაბრწყინდა, მისი სამოსელი კი თოვლივით სპეტაკი გახდა.

უცებ ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ დადგა ძველი აღთქმის ორი უდიდესი წინასწარმეტყველი — მოსე და ილია. ... ისინი იესოს მისი მომავალი ჯვარცმისა და აღდგომის შესახებ ესაუბრებოდნენ...

პეტრემ თქვა: „უფალო, კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა“. მას აღარ უნდოდა ფერისცვალების სიხარულისა და ნეტარების დაკარგვა.

ამ დროს ყველანი ღრუბლებმა დაფარა (ღრუბელი ბიბლიაში ღვთის მადლის, აგრეთვე ღვთის შეუცნობადობის სიმბოლოა.) ღრუბლებიდან მოისმა ხმა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელშიც ჩემი სათნოებაა. მაგისი ისმინეთ.“ მოწაფეებს ძალიან შეეშინდათ და პირქვე დავარდნენ. მივიდა მათთან იესო, ხელი შეახო და თქვა: „ადექით, ნუ გეშინიათ.“ ის უკვე მარტო იყო. ფერისცვალება დამთავრდა.

ეს მოხდა ქრისტეს ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე. მაცხოვარმა თავის მოწაფეებს უჩვენა თავის ღვთაებრივი ძალა და ენერგია. ამით მას უნდოდა განემტკიცებინა მოციქულთა რწმენა, რათა ქრისტეს ჯვარცმა და სიკვდილი მის დამარცხებად არ ჩაეთვალათ და მიმხვდარიყვნენ, რომ მაცხოვარი თავისი ნებით ეწირებოდა მსხვერპლად ადამიანების გამოხსნას სიკვდილისა და ჯოჯოხეთისაგან.

მოწაფეები მიხვდნენ აგრეთვე, რომ თაბორის ნათელი ჩვეულებრივი ატმოსფერული ნათელისაგან სრულიად განსხვავებული, სულიერი ნათელი — ღვთაებრივი შუქი იყო, და ისინი, თავიანთი სულიერი განვითარების შედეგად, მისი ღირსნი უნდა გამხდარიყვნენ.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინება

ქრისტეს ჯვარცმის, აღდგომის და ამაღლების შემდეგ ღვთისმშობელი იოანე ღვთისმეტყველთან ცხოვრობდა. ქრისტიანთათვის მისი არსებობა ნუგეში და იმედი იყო. მას უდიდესი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ღვთისმშობლის მთელი ცხოვრება ღვთისადმი ერთგულების, უდიდესი სიყვარულისა და ღრმა თავმდაბლობის მაგალითი იყო. მას არასოდეს უდალატია ღვთისათვის, არასოდეს შეუცოდია აზრითაც კი.

ღვთისმშობლის გარდაცვალებას ეკლესია მიძინებას უწოდებს, რადგან მან, თითქოს ტკბილად დაიძინაო, ყოველგვარი მძიმე განცდისა და ტკივილის გარეშე ჩააბარა სული თავის ძეს — დიდების ღმერთს.

ღვთის განგებით, მიძინებამდე ცოტა ხნით ადრე იერუსალიმში ჩამოვიდნენ მოციქულები, ქრისტეს მოწაფეები... ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ცალ-ცალკე აკურთხა ყოველი მათგანი. იგი მთელი მსოფლიოს კეთილდღეობისათვის ლოცულობდა.

მიძინების დამეს უამრავი სანთელი ენთო იერუსალიმის ოთახში, სადაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იწვა. მოციქულები გალობდნენ. დაახლოებით ღამის სამ საათზე უცრად ღვთიური დიდების ნათელმა გააბრწყინა ოთახი და თვითონ ქრისტე, — სიმართლის მზე — ჩამოვიდა ანგელოზებთან, წმინდანთა სულებთან ერთად. სიხარულით აღვსილმა ღვთისმშობელმა განადიდა ღმერთი, და ქრისტეს ჩააბარა თავისი უმწიკვლო სული.

დაიწყო ანგელოზთა გალობა. ყველა აქებდა, ადიდებდა ზეციურ დედოფალს. სიკვდილი ამქვეყნიური ცხოვრების შედეგია. იგი ააშკარავებს ადამიანს: ამიტომ მართალთათვის იგი ახალი, ნეტარებით სავსე სიცოცხლის კარიბჭეა, ცოდვილთათვის კი ტანჯვისა და მწუხარების დასაწყისი. ღვთისმშობლის გარდაცვალება ნამდვილი დღესასწაული იყო — ის ხომ ყველა ადამიანზე და თვით ანგელოზებზეც მაღლა დგას. მისი გარდაცვალება დღესასწაულია იმიტომაც, რომ ღვთისმშობლის სახით ქრისტიანებმა ზეციური დედა და მფარველი შეიძინეს.

პროცესიამ, რომელსაც ღვთისმშობლის ყოვლად წმინდა სხეული მიჰქონდა, მთელი იერუსალიმი გაიარა. უწმინდესი გგამი გეთსიმანიის ბაღში დაკრძალეს ღვთისმშობლის მშობლების, იოაკიმ და ანას საფლავებთან.

ღვთისმშობლის სხვა ხატებთან ერთად ეკლესია ამ დღეს თაყვანს სცემს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების აწყურის, ბეთლემ-წილკნის, გაენათის, ხახულის, ქვაბთახევისა და მეტეხის ხატებს.

ტყეში

ნინო ნაკაშიძე

სოფლის შარაგზის პირას დიდი ტოტებგაშლილი მუხა იდგა. სოფლელები ამბობდნენ, მუხა სამასი წლის არისო. მუხის ახალგაზრდობა არავის ახსოვდა, არც ის ახსოვდათ, თუ როგორ გაუჩნდა მას ფუღურო. მხოლოდ ყველამ იცოდა, რომ ფუღუროში ციყვები ცხოვრობდნენ და რკოთი იკვებებოდნენ. ისიც იცოდნენ, თუ როგორ იკეთებდნენ მის ტოტებში ჩიტები ბუდეებს და როგორ უყვარდათ ღორებს მის ძირში ჩამოცვენილი აუარებელი ტკბილი, გემრიელი რკო.

მუხის ძირას ისვენებდნენ ხოლმე გლეხები. აქვე სადილობდნენ შუადღისას, მუხის ფოთლებით დაჩრდილულ მწვანეზე.

მუხის ძირში ისვენებდნენ აგრეთვე გზად გამვლელ-გამოვლელნიც.

ყველას უყვარდა მუხა.

— წლეულს აუარებელი რკო ასხია ჩვენს მუხას, — ეუბნებოდა შვილებს ფუღუროში მოკალათებული კუდჯინჯილა ციყვი; — შებინდდება თუ არა, შევაგროვებ ძირს ჩამოცვენილ რკოს და ზევით თაროზე შევინახოთ, მთელ ზამთარს გვეყოფა. მაგრამ ეს რა ამბავია?

უცებ მთელი მინდორი გაივსო ბავშვებით. ისინი ჟრიამულით შეუდგნენ მუხის ქვეშ რკოს აკრეფას და კალათებში შეგროვებას.

— ჰი, ეს ჩვენი სოფლის მოსწავლეები არიან — თქვა მამა ციყვმა; — ნეტავი რად უნდათ რკო?

მეორე დღეს სკოლის კედლის გაზეთში ყველა მოსწავლემ წაიკითხა ასეთი წერილი:

«გუშინ ჩვენ სოფელში შევკრიფეთ ათი კალათა რკო. ამ რკოს აგრონომის ხელმძღვანელობით დავთესავთ სამგორის ველზე, ივრის არხის ნაპირას, მალე სამგორის სოფელს, რომელიც ახლა შენდება, ექნება მუხის ტყე; ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ

ჩვენი მშობლიური მხარის გამწვანების საქმეში. ტყის მეგობარი ზაზა».

ამ საღამოს ციყვმა კუდჯინჯილამ საკმარისი რკო ვეღარ იპოვა მუხის ძირას, მაგრამ მარდად გადახტა იქვე კოლმეურნეობის ბაღში. მას ახსოვდა, რომ მუხას ერთი ტოტი ბაღში ჰქონდა გადაშვერილი და იქითაც ცვიოდა რკო, მაგრამ რკო სულ აეკრიფათ; მხოლოდ ერთი, სულ პაწაწინა მუხის ყლორტი ნახა ამოსული და მის გვერდით კი რკოს ქუდი იყო.

სადაც რკოს ქუდია, იქ რკოც უნდა იყოს, — იფიქრა ციყვმა და დაიწყო ძებნა.

— ხელი არ მახლო, — უთხრა ყლორტმა. — თუ გინდა, ქუდი წაიღე. მე აქ შარშან ჩამოვვარდი, ქუდი მოვიხადე, ზევიდან ფურცელი გადავიხურე საბანივით, რომ არავის დავენახე, და ჩავძვერი მიწაში; მთელი ზამთარი ვიწექი თბილად და გავუშვი გრძელი, გრძელი თეთრი ფესვი. გაზაფხულზე კი ამოვუშვი მწვანე ყლორტი, ხედავ, რა ლამაზი ვარ?! მეც გავიზრდები დიდი, დიდი, როგორც აი, ჩემი მამა მუხა არის და ვასიამოვნებ მთელ სოფელს და შენც, კუდჯინჯილავ, ჩამოგიყრი ბევრ, ბევრ რკოს.

როდესაც ციყვი კუდჯინჯილა დაბრუნდა ფუღუროში თავის შვილებთან, ნახა, რომ მამა ციყვს შვილებისათვის გამოეტანა ზამთრისათვის შენახული გამხმარი სოკოები და მხიარულად შეექცეოდნენ.

მხატვარი **ვაჟა ჟურხული**

ოსთავული

ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ცხენასა,
ღელე სიკვდიცამდის სისარბე შეაქნევს კბიცთა
ორკენასა,
შესდის და გასდის, აცცია, ემდურვის ეტცთა რბენასა,
კვცა აქა სუცსა დაუბამს, დაუშვის ალმათურენასა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით გურამიშვილი

ორასი წლის წინ გარდაიცვალა ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. მისი ნეშტი დაკრძალულია უკრაინაში, ქალაქ მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

«ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრობდი სხვის ქვეყანასა»-ო, მოთქვამდა პოეტი. ქვეყნის წახდენის მიზეზი კი იყო როგორც გარეშე მტრების მუდმივი შემოსევები, ასევე შინაშფოთება. საქართველო დაქუცმაცებული იყო სამეფოებად და სამთავროებად.

«კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს», ხოლო «უკუღმართმა ხვნამ და ფარცხვამ» საგალობელ შედეგი გამოიღო. საქართველო დაღუპვის პირამდე მივიდა. სხვა უბედურებასთან ერთად იმ ხანებში აღზევდა ტყვეებით ვაჭრობა. ტყვეობის სიმძიმე გამოსცადა დავით გურამიშვილმაც. ჯერ ლამისყანიდან გაიტაცეს ლეკებმა, ხოლო შემდგომ, რუსეთ-პრუსიის ომის დროს, პრუსიელებს ჩაუვარდა ტყვედ. როგორც ზემოთ ვთქვით, ბედუკუღმართობს გამო დავით გურამიშვილმა სამუდამო განსასვენებელი საქართველოს გარეთ ჰპოვა, მაგრამ თავის ხალხს დაუტოვა მდიდარი, მაღალმხატვრული ღირსების მქონე ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელსაც თვითონ «დავითიანი» უწოდა: «დავითიანი ვსთქვი დავით, გურამიშვილმან გვარადო».

«დავითიანი» შედგება რამდენიმე პოემისა და ლექსისაგან, რომლებშიც პიროვნული და საქვეყნო წუხილი ერთმანეთს ერწყმის: «ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს...» -

«დავითიანი» პოეტური ანარეკლია მე-18 საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა. მასში «ქართლის ჭირის» გარდა დიდი ადგილი აქვს დათმობილი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მოტივს, ანუ როგორც პოეტი წერს: «ჩაგონებას ყრმათათვის.»

ზურმაძიან ქალდანი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს კაცი ასე ილოცავს

ღმერთო, მაჩვენე ყანები
ამ სარწყავთ მონაყვანები;
ღმერთო, დამახსწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა.
ყოველად წმინდაო, დამადევ
წელურზედ წამალი სამთელი,
შემაძლებინე აღვანთო
მე შენს წინაშე სანთელი.

სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვაროგას სანაცვლოდ სათქმელი

ერმავ, გონება უგუნური აგონიარეო,
თავს ნუ გახდი უღონოდა, აღონიარეო;
იქით-აქეთ მიიხედე, ათვალიარეო,
სცან საწუთრო მუხანათი, სალმობიარეო.
არს გზა ვიწრო, ორმო-ხნარცვი მოგანიარეო.
გაუფთხილდი, არ ჩავარდე, ამოდ იარეო,
ნუ გახდები უფალთანა გულმანკიარეო,
გულლმობილად ენა-ჭირი ალმობიარეო,
შეიეკარე საკვარელი, ანებიარეო,
არაფერი მიაყენო საუდიარეო,
რაც გეცოდოს, შეინანე, მღრდელს აღიარეო,
ილოცე და იმარხულე და ეზიარეო,
არ შესცვალო უბედურად სბედნიარეო,
დავით რაც გჭრქვა შვენიერად, ამშვენიარეო.
არ შესცვალო უბედურად სბედნიარეო,
დავით რაც გჭრქვა შვენიერად, ამშვენიარეო,
დავით რაც გჭრქვა შვენიერად, ამშვენიარეო.

მხატვარი ზაურ დეისაძე

თქვენთან ერთად ვულოცავ!

ძვირფასო ბავშვებო! მე მინდა ცოტა რამ გითხრათ შესანიშნავ ქართველ პოეტზე, რომელსაც სამოცი წელი შეუსრულდა და რომლის ლექსებსაც, თქვენს ჟურნალში დაბეჭდილს თუ ცალკე წიგნებად გამოცემულს, მრავალჯერ გაუხარებიხართ. ეს პოეტი ტარიელ ჭანტურია გახლავთ. ალბათ დამეთანხმებით — ხელიც რომ არ მოაწეროს, მის ნაწერს ყველასაგან გამოარჩევთ, იმდენად თავისებური და ხალისის მომგვრელია მისი ხელიდან გამოსული ყოველი სტრიქონი.

რომელი თქვენგანი არ იცნობს ძია ტარიელის ზღაპრის გმირს, საზრიან და გონებამახვილ პაწაწკინტელა ნეკოდელას (იგი თავის უფროს ძმაზე, ცეროდენაზეც პატარაა), ვის ფათერაკებიან, სასაცილო თავგადასავლებსაც ბევრჯერ გაუოცებიხართ, ბევრ რამეზე დაუფიქრებიხართ.

ზღაპრებში უმცროსი ძმა მუდამ სხვებზე ჭკვიანი, მოხერხებული და კეთილია, და ნეკოდელაც ამ თვისებებით გამოირჩევა. ტყუილად როდი ეჯავრება «ბათქა-ბუთქი თოფების, ომობანას თამაში,» ტყუილად როდი მოუწოდებს თანატოლებს, დაყარონ იარაღი — თოფები, დანები, ტანკები; და სვდიანი ღიმილით ეკითხება მათ: «...ლაზტი არა ჯობს ერთმანეთის კვლას?» ეს დიდი სიბრძნეა და არა სისუსტე. ყველამ უნდა დაუჯეროს ამ გონიერ, მარჯვე ბიჭუნას, თუ გვინდა ქვეყნად სიკეთე და მშვიდობა იყოს, სისხლი არ იღვრებოდეს.

ჩვენი პოეტის უმთავრესი საფიქრალი მუდამ სამშობლოს ბედ-იღბალი იყო. ერთი დღეც არ უცოცხლია, რომ საქართველოს გათავისუფლების იმედს შელეოდა და, როგორც იქნა, თქვენთან ერთად ეს სანუკვარი ოცნება აუხდა.

თქვენ ხომ იგი ასეთი დიდი და უმშვენიერესი დღესასწაულის შესახვედრად გამზადებდათ და გწრთვნიდათ, როცა ამ კითხვა-პასუხს გაზეპირებინებდათ:

— რაა აბა, თუ იცი,
ქველაფერზე მთავარი!?
— ქველაფერზე მთავარი?
საქართველოს მთა-ბარი!
— რაა, აბა თუ იცი,
ქველაფერზე მადალი!?
— ქველაფერზე მადალი? —
საქართველო ახალი!

მე ვიცი, როგორი ერთგული მეგობარია იგი — ბევრჯერ მიგრძვნია მისი თანადგომა და ძმური დახმარება ჭირსა თუ ლხინში. მისმა სამმა შვილიშვილმა იცის, რა უზომო სითბოსა და საყვარულს იტევს ბაბუა ტარიელის გული. ეს იცით თქვენც, რადგან მარად თქვენ დაგტრიალებთ პოეტის ფიქრი, უთქვენოდ საქართველოს ხვალინდელი დღე ვერ წარმოუდგენია და მტკიცედ არის დარწმუნებული — თქვენ იღვაწეთ და იცხოვრებთ ჭეშმარიტად თავისუფალ, ბედნიერ და ძლიერ საქართველოში, გეყვარებათ ერთმანეთი, წიგნი და გარჯა. უამისოდ ხომ ადამიანის არსებობას აზრი ეკარგება. საყვარელო პატარა მეგობრებო! თქვენთან ერთად მეც ხანგრძლივ, ძველებურად ნაყოფიერ სიცოცხლეს ვუსურვებ ძვირფას იუბილარს, თქვენთან ერთად ვულოცავ ახლახან მიღებულ უმაღლეს ეროვნულ ჯილდოს — რუსთაველის პრემიას. როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, გაიხაროს და გაგვახაროს!

ემზარ კვიტაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მკვდარი საათი“

ტარიელ ჯანტურია

გადასარევი გოგოა
ანანო — ჩემი დაიკო!
ჯერ მე დამიგო ლოგინი,
მერე თავისთვის დაიგო!

სურდო

ვაჟბატონო ცხვირო,
მეავხარ სამარცხვინო!
რატომ გინდა, ჩემზე
ხალხი გააცინო!
დღეში ბარე ოცი
გინდა ცხვირსახოცი!
მტკივა ცხვირში ძვალი,
მტკივა ცხვირზე — ხორცი!
ახლა ლოგინშიაც
გინდა ჩამაწვინო!
ამხანაგო ცხვირო,
ნუ ხარ უსირცხვილო!
თუ არ დაიშლი და
ისევ აცემინებ,
ვნახავ ხულიგან ტიპს,
შენს თავს ვაცემინებ!
შენც გაწუხებს სურდო,
ჰოდა, დალოცვილო,
მოირჩინე თავი,
ვაჟბატონო ცხვირო!
ზომიერად მოკლევ,
ზომიერად მსხვილო,
ვაჟბატონო ცხვირო,
მეავხარ სამარცხვინო!

თავს იმართლებს მაშინ

ხომ გახვედრებთ ოთახებს
კოხტად დაგვილ-დახვეტილს!
ჰოდა, ჩემო კარგებო,
ნუღარა მთხოვთ გაკვეთილს!

მხატვარი ედუარდ აბგოკაძე

ყოჩაღი ბურთი

დალილა ბედიანიძე

მხატვარი ლალი ლომთათაძე

ერთმა გოგონამ მოიწყინა. აღარაფერი ახარებდა. ერთთავად ფანჯრიდან იყურებოდა და იყურებოდა. თოჯინებზეც კი აიყარა გული.

— რატომ მოიწყინე, ბაია, ასე? — ჰკითხა ერთ საღამოს დედამ.

— რომ გითხრა, შენ მაინც ვერ მიშველი...

— მაინც მითხარი, იქნებ გიშველო.

— ველოდები! — ამოიოხრა გოგონამ.

— რას ელოდები, ბაია? — გაუკვირდა დედას.

— ძმას ველოდები. ფანჯრიდან რომ არ გადავიხედო, იფიქრებს, არ მელოდებაო, და აღარ მოვა, გაიგე? აი, შენი ძმა როცა მოდის, შენც ხომ იყურები ხოლმე ფანჯრიდან და ელოდები!

— კი მაგრამ, — გაეცინა დედას — მე ძმა მყავს და იმიტომ მოდის, შენ რომ არ გყავს?

— მყავს, — გაჯიუტდა ბაია და ფანჯარას მიეკრა. — ოღონდ ჯერ არ მოსულა. მალე მოვა. სულ უნდა იყურებოდე და ელოდებოდე, რომ მოვიდეს.

გადიოდა დღეები, მაგრამ ძმა არ ჩანდა, გოგონამ უფრო და უფრო მოიწყინა. და აი, ერთ დღეს ფანჯრის მინას დიდი, ლამაზი ბურთი მიასკდა, ისე მიასკდა, კინაღამ შელეწა. გოგონა შეკრთა და გაოცებულმა ახედ-დახედა ბურთს.

— ტყაპ-ტყუპ! — შესძახა ბურთმა — ტყაპ-ტყუპ! შემომიშვი! — თან მოუთმენლად წრიალებდა ჰაერში.

გოგონა შეწუხდა, — მე პატარა ვარ, ფანჯრის გაღება ჯერ არ ვიცი.

— არა უშავს, ისედაც შემოვალ, — თქვა ბურთმა. ერთი ისკუპა და ვითომც აქ არაფერიაო, შუა ოთახში მოადინა ტყაპანი, არც ფანჯარა გაუღია, არც მინა გაუტეხია. გოგონამ ბურთს ისევ ახედ-დახედა და ფანჯრისაკენ იბრუნა პირი. ბურთმა აქედან მოუარა, იქიდან მოუარა და ზედ ცხვირწინ დაუსკუპდა გოგონას.

— გავიგე, რომ ძალიან მოწყენილი ხარ. რატომ მოგიწყენია?

— აბა, როგორ არ მოვიწყინო, სულ მარტო ვარ. ძალიან მინდა, ძმა მყავდეს. ველოდები, ველოდები და არ მოდის.

— მე ვიცნობ ერთ პატარა ბიჭუნას, ისიც შენსავით მოწყენილია და ძალიან უნდა, დაიკო ჰყავდეს. ზის და სულ ველოდება. გინდა, წაგიყვანო? — შესთავაზა ბურთმა.

— აბა, როგორ წამოვიდე, კარები დაკეტილია, მე ჯერ არ ვიცი კარის გაღება, — შეწუხდა გოგონა.

— ეგ არაფერი! — ჩაიცინა ყოჩაღმა ბურთმა, — შენ მე მომყევი!

გოგონამ თვალის დახამხამება ვერ მოასწრო, რომ ეზოში ამოყო თავი. გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ მოწყენილი პატარა ბიჭი მოდიოდა მისკენ. ბურთი ახტა-დახტა, გოგონასაგან ბიჭისაკენ გადასკუპდა, ბიჭისაგან — გოგონასაკენ, ბავშვები სიცილ-კისკისით დაედევნენ, იმდენი ირბინეს, სანამ არ დაიღალნენ და დასასვენებლად არ ჩამოსხდნენ.

— გამხიარულდით? აღარ მოიწყენთ? — ჰკითხა ბურთმა ორივეს.

— არა, აღარ მოვიწყენთ! — მხიარულად უპასუხეს ბავშვებმა.

— შენც მოწყენილი იყავი? — ჰკითხა ბიჭმა გოგონას.

— ჰო, ძალიან! — უპასუხა გოგონამ, — ძმა მინდოდა მყოლოდა.

— მეც, — თქვა ბიჭმა, — მეც ძალიან მოწ-

ყენილი ვიყავი, და რომ არ მყავდა.

— მე ცოტათი ისევ ვარ მოწყენილი. — უპასუხა გოგონამ.

— რატომ? — შეწუხდა ბიჭი, — არ მოგწონს ჩემთან თამაში?

— როგორ არა, მაგრამ დაიკოც მინდა მყავდეს.

— მერე იმას რომ თავისი და მოუნდება!..

— მოუნდეს რა! რაც უფრო მეტი ვიქნებით, უკეთესად ვითამაშებთ.

ლაპარაკი ჯერ არ დაესრულებინათ, რომ ეზოში კიდევ ერთი გოგო და ბიჭი შემოვიდნენ, მერე — კიდევ ერთი, კიდევ და კიდევ... ეზო გამხიარულებული ბავშვებით აივსო. ბურთმა ყველა, ყველა ათამაშა, მგონი მთელ ქვეყანაზე არც ერთი ბავშვი არ დაუტოვებია მარტო, ყველა გააცნო ერთმანეთს. იმდენი იხტუნავეს და ირბინეს, იმდენი აბზრიალეს ბურთი, სანამ არ დაღალეს და თავბრუ არ დაახვიეს. მაგრამ ბურთი ძალიან ყოჩაღი იყო, ერთ წამში ისვენებდა და სულ ცამდე ხტოდა.

ყველაზე ბოლოს ეზოში ერთი ბიჭი შემოვიდა, მარტო იყო, ერთხანს შორიდან უყურა ბავშვების თამაშს, მერე ბურთს მიუახლოვდა, ხელი სტაცა და მარტო დაიწყო თამაში.

— შენ ვინა ხარ? — შემოეხვივნენ ბავშვები. — მარტო რატომ თამაშობ? ან ძმა არა გყავს, ან და?

— ასე მინდა და ვთამაშობ! არც ძმა მჭირდება და არც და! — აბუზღუნდა ბიჭი.

— მაშინ ბურთიც არ გეკუთვნის. თუ ძალიან გინდა, მარტო ითამაშო, აი, ეზოს ბოლოში ერთი ბაიყუში ბურთი გდია, წადი იქ და იმას ეთამაშე! — გაუბრაზდა ყოჩაღი ბურთი ბიჭს, ხელიდან გაუსხლტა და ბავშვებს დაუბრუნდა.

ბიჭი ეზოს ბოლოსაკენ წაჩანჩალდა; ცოტა ხანს ითამაშა იქ ბაიყუშ ბურთთან; მერე რაღაცაზე გაიბუტნენ, ბურთი თავისთვის დაეგდო, ბიჭი კი ეზოდან წავიდა და იქ მეტად აღარ გამოჩენილა.

ჩვენმა ყოჩაღმა ბურთმა იმდენხანს ათამაშა ბავშვები, სანამ არ მობეზრდათ. ბოლოს ყველა შინისაკენ გააცილა. დღეს გვეყოფა, ხვალაც ხომ გვინდა თამაშიო! — გამოუცხადა ბავშვებს, წინ გაუძღვა და სულ ხტუნვა-ხტუნვით ჩამოარიგა სახლებში. ყველაზე ბოლოს ჩვენი ნაცნობი ბიჭუნა და გოგონა წაიყვანა შინ. ისინი ხელიხელჩაკიდებული მიჰყვებოდნენ.

— აი, მე ამ სახლში ვცხოვრობ! — უთხრა ბიჭმა გოგონას.

— მეც! — თქვა გოგონამ.

— მე მეოთხე სართულზე ვცხოვრობ.

— მეც.

— მე აქ უნდა შევიდე — თქვა ბიჭმა და კარზე ზარი დარეკა.

— მე კი — აქ, — თქვა გოგონამ და მოპირდაპირე კართან შეჩერდა.

— მოწყენილი ხომ აღარა ხარ? — ჰკითხა დამშვიდობებისას ბიჭუნამ.

— მე — არა, შენ?

— არც მე. კიდევ მეთამაშები?

— გეთამაშები, აბა, რა! როცა ბურთი წამოგიყვანს, ყოველთვის გეთამაშები! — უპასუხა გოგონამ და ხელი დაუქნია.

ყოჩაღი ბურთი ღიმილით უსმენდა მათ საუბარს. შემდეგ კი, როგორც კი ბავშვები შინ შევიდნენ, ახტა-დახტა და ზღაპრის შორეულ ქვეყანაში დაბრუნდა დასასვენებლად. როცა ბავშვები არ თამაშობენ და ისვენებენ, მაშინ ხომ ბურთებიც ისვენებენ!

მედეას ლეკვი

პაოლო იაშვილი

თუ გინახავთ
დათვის ნეკი,
იმ სიგრძეა
ჩემი ლეკვი.
ჯერ ოთახში, შემდეგ ბაღში
დადის, დადის
კუდაბზეკით.
ბუზს შეხედა, გაინაბა,
დამიხია ჩითის კაბა,
გულმოსულმა გადაულაბა
მზა მურაბა —
ერთი კილო;
რა ლეკვია,
რა ლეკვია,
ლეკვია თუ ცირკის ხეილო!
კედლის მდებავს
შეუუფავს,
უბენს კატას, როცა ნებავს.
ახლა
დახრა
სკამის ფეხი,
არ მახვენებს ეს უკმეხი,
დაგაყარე თავზე მეხი.
და სულ ვდარდობ — ამ ავეიამ
იქნებ ჯამა დუთმა ნესვი,
იქნებ მამას დაუხია
გუშინ
დაწერილი
ლექსი.

ანდა კიდევ უკეთესი,
გადაულაბა დიდი ნემსი.
ვერც სკოლაში დავისვენე,
შინ მოველ და
მეცა ელდა,
თურმე ბზიკმა
დამიკბინა
ჩემი ფინა
ნაწაწკინა.
ჩვენი ბაღის
იმ კუთხეში,
სადაც ცხოვრობს ლოკოკინა!
ვართ მთელი დღე მგლოვიარე
ექიმები მოვიარე,
გამოვართვი აფთიაქარს
ეს მალამო თაფლისფერი,
ვუცვლი წამალს, ვაჯევ შაქარს,
არ აკლია არაფერი...
ოღონდ სიცხე გამონელდეს
და ვუიდი ცისფერ ლენტებს,
ერთი ყელზე გამოვაბა,
ერთი ფეხზე გამოვაბა,
ერთი ყურზე გამოვაბა,
ერთი კუდზე გამოვაბა,
ქვეშ დავუგო ჩემი კაბა,
გავახურო დიდი ტაფა,
მოვუდუღო ის მურაბა,
მას რომ უნდა... ისევ ჰქონდეს
დასახრავად სკამის ფეხი.
ადარც ვეტეკი არასოდეს
„დაგაყარე თავზე მეხი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ხბო

კლავდია დევდარიანი

მერაბი და ქეთევანი წელს ადრიანად წაიყვანეს სოფელში. გაიხარეს პატარებმა. დიდი მწვანე ეზო, წიწილებითა და ჭუკებით სავსე, და, რაც მთავარია, ეზოში ლამაზი ხბო დაკუნტრუშებს.

ბავშვები მთელ დღეს ეზოში ატარებენ: ქათმებთან, წიწილებთან, ჭუკებთან და ლამაზ ხბოსთან ერთად, რომელიც ერთი წუთითაც არ შორდებ თავის ახალ მეგობრებს.

ერთ დღეს ბაბუა შალვა ეწვიათ. შალვა მოხუცია, საბიჯგი ჯოხი უჭირავს. ბავშვებს მუდამ ძალიან ახარებთ მისი მოსვლა, ადგომის დროს ჯოხს აწვდიან ხოლმე, ეზოს ბოლომდე მიაცილებენ და ბაბუა შალვა ლოცავს პატარებს:

— გაიზარდეთ, გაიხარეთ, თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

— ბაბუა შალვა მოდის, ბაბუა შალვა! — ყვირის მერაბი და გადასაბიჯისაკენ გარბის, ქეთევანიც არ რჩება ძმას. უკან კუნტრუშით ხბო მიჰყვებათ.

— ეს რა კარგი ხბო გყოლიათ! — აქებს ბაბუა შალვა.

— ხომ ლამაზია? — თავი მოიწონა მერაბმა.

— ჭკვიანიც არის! — შეაქო ქეთევანმა.

— მეც მომწონს თქვენი ხბო, მოდით, მაჩუქეთ! წავიყვან ჩვენს ეზოში, ძალიან კარგი ბალახი გვაქვს.

ბავშვები აიმრიზნენ. ქეთევანმა ხბოს ნელი მოხვია, უელზე აკოცა.

— გამატანთ? — კვლავ მიუბრუნდა ბავშვებს შალვა.

ქეთევანს ნიკაპი შეუთრთოლდა, შალვას შეაჩერდა.

— მე და მერაბი გაგატანთ, მაგრამ ძროხა არ გამოუშვებს, ძალიან უყვარს თავისი შვილი.

გარშემო მყოფებს სიცილი აუტყდათ, ქეთევანი ვერ მიხვდა, რამ გაამხიარულა ეს ხალხი.

... შალვამ თავისი პატარაობა და თავისი მოზვრები გაიხსენა. მაშინ სწორედ მერაბის ტოლი ბიჭი იყო. პატარა მოზვრები ჰყავდა. ისე უყვარდათ ერთმანეთი, მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ.

კოლმეურნეობის თავჯდომარეს მოეწონა შალვას მოზვრები, აღარ მოეშვა, ჩამოართვა და კოლმეურნეობის ფარეხში წაასხა.

მოზვრები ვერაფრით ვერ შეაჩვიეს ახალ სამყოფელს. ყოველ საღამოს გამოიპარებოდნენ და თავიანთ ძველ ბოსელში ამოჰყოფდნენ თავს. უხაროდა მაშინ შალვას მოზვრების დანახვა, ცას ეწეოდა ხოლმე სიხარულით.

გაბეზრდა კოლმეურნეობის თავჯდომარე და გაყიდა მოზვრები. რამდენი იტირა მაშინ შალვამ...

— არ შეშინდეთ პატარებო, თქვენ თავისუფალ საქართველოში იცხოვრებთ და თქვენს ხბოს ხელს ვერავინ ახლებს. — ანუგეშა ბაბუა შალვამ თავისი პატარა მეგობრები.

მხატვარი ლალი ლომთაძე

საქართველოს ეროვნული

ეკა და ლადო

ეთერ ფაცურია

ოქუმწყალი მკერდზე დაყრილი თხმელას მწვანე ფოთლებით მილივლივებდა თაკარა მზის მცხუნვარებაში. ქვაზე წამოსკუპებული ლადო ოქუმწყალში აჭყაპუნებდა ფეხებს. თან წიგნი გაეშალა და ხმამაღლა კითხულობდა, უნდოდა ეკას ყურადღება მიექცია. ეკაც გაეხმიანა.

— ცივია, წყალი, ლადო?

— ჰო, ცივია.

— იმიტომ ვერ ვბედავ ფეხის ჩაყოფას.

— რატომ არის წყალი ცივი, იცი, ეკა?

— არ ვიცი.

— საიდან გაჩნდა წყალი?

— არ ვიცი.

— ეგბა რა იცი? — გაბრაზდა ბიჭი — ტომ სოიერის თავგადასავალი წაგიკითხავს, ეკა?

— აბა!

— მოდი, მე ტომ სოიერი ვიქნები, შენ, თუ გინდა, ჰეკლბერი ფინი იყავი.

— არა, მე ვიქნები ტომ სოიერი, ჰეკი შენ იყავი.

— არა, მე...

— არა, მე...

წაიჩხუბნენ, ერთმანეთს გაებუტნენ.

გაბრაზებული ლადო ქვიდან ჩამოხტა და ოქუმწყალს თავქვე დაუყვა. ლადო წინ-წინ მიიწევდა; ქვებს აბრუნებდა წყალქვეშ.

ღორჯო გამოცურდა ქვიდან და მეორე უფრო მოზრდილი ქვის ქვეშ შეძვრა.

— ეკა! ეკა!

— რა იყო?

— გოგო, ღორჯოა, ღორჯო თეთრი ქვის ქვეშ.

თეთრ ქვასთან მიირბინა ეკამაც. ღორჯო მაინც გაექცათ, შერიგებული დარჩნენ.

ბადე და წიგნები გაახსენდათ. ახლა ალმა აუყვნენ ოქუმწყალს.

— საიდან გაჩნდა ცა?

— წიგნებში წერია.

— ჰაერი საიდან გაჩნდა, არ იცი?

— ისიც წიგნებში წერია.

— მიწა?

— ესეც იქ არის მოთხრობილი.

თხმელის ქვეშ ჩრდილში მოიკალათეს. ფურცლეს და ფურცლეს ლადოს წამოღებული წიგნები...

— რომ არ წერია, ლადო?

— დიდების წიგნში წერია. მამაჩემის სქელ წიგნებში მოვძებნოთ. წითელყდი-

ან წიგნში ყველაფერი ეწერება.

— რა იცი, იქნებ ცისფერყდიანში ეწეროს. მამაშენი რომ კითხულობდა ცისფერყდიან წიგნს, შიგ დიდი ბურთი ეხატა. ვთხოვე, ისეთი ბურთი ეყიდა ჩემთვის. მითხრა: ბურთი კი არა, გლობუსიაო. შენ მაშინ სკოლიდან არ იყავი მოსული. იცი, რა არის გლობუსი?

— როგორ არ ვიცი.

— რა არის?

— რომ გაიზრდები, გაიგებ.

— არა, ახლაც გავიგებ, ოღონდ მითხარი.

— არა, ახლა არ შეიძლება, ჯერ პატარა ხარ.

— პატარა შენა ხარ!

— არა, შენა ხარ!

ისევ წაიჩხუბნენ.

...ლადომ თიხის ზელვა დაიწყო. ეკა წყალში ჩადგა. წყალი შეაშხეფა წახრილ თხმელას. მერე ონავარი ბიჭივით დაუსტვინა, გაიარ-გამოიარა, თვალი ლადოსკენ ეჭირა, აინტერესებდა, რას აკეთებდა. მერე ვეღარ მოითმინა. თავზე წამოადგა. ლადოს პატარა თოჯინები გაეკეთებინა; მოეწონა.

— ვინ არიან ესენი, ლადო?

— ადამი და ევა. ახლა ფეხზე დავაყენებ, მერე სულს ჩავბერავ და ერთად ივლიან.

— ესენიც და-ძმანი არიან?

— ესენი სულ პირველი ადამიანები არიან — ადამი და ევა.

„ადამი“ და „ევა“ გასაშრობად თხმელას მიაყუდა ლადომ. ეკა დიდრონი ცისფერი თვალებით მისჩერებოდა მათ და ფიქრობდა, რომ უბრალო ბიჭი არ იყო მისი დეიდაშვილი, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეგო მოჩხუბარი ძმის გული.

ტალღა ტალღას მისდევდა. ოქუმწყალი წკრიალ-წკარუნით, რაკრაკით გადადიოდა ქვიდან ქვაზე, კენჭიდან კენჭზე...

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

ცუდია თუ კარგია?

გიორგი ფარეთელი

— კბრგი ძლიერ კარგია,
მთელ ქვეყანას არგია,
იცის უმცროს-უფროსი,
მკვირცხლია და მარდია,
ბებოს თვალის ჩინია,
დედის გულის ვარდია...

თუ ვინმე არ ვარგია
ქვეყნის მძიმე ბარგია,
მასზე დიდი ამაგი
ტყვილა დაგვიკარგია.
ერთი კიტრის გულისთვის
ღობე გადაარღვია,
შინ რომ ბალღთან დატოვეს,
სახლი დარჩა კარდია,
ცხვრები რომ ჩააბარეს,
ეველა დაუკარგია,
თქვენ განსაჯეთ, ეს ბალღი
ცუდია თუ კარგია.
ავხელი და უქნარა
ცუდი არის, ცხადია,
მამის კისერს ამძიმებს,
დედის გულის დარდია,
გუდასავით აგდია
მძინარა და კუტია,
წუწუნა და ბუტია,
რა თქმა უნდა, ცუდია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ლიტერატურა

წიწიბურა

მზია ჩხეტიანი

ბაჯიუტდა ბიჭი ზურა
ცქნაფა,
არ მინდაო, წიწიბურას
ფაფა!
— ვაი, — მოჰქვა, ახლა ბებო
ვიშვიშს, —
გვეღუჰება სანაქებო
ბიჭი!
— უნდა ჭამოს ყველა ბიჭმა
ფაფა! —
ბიჭს არიგებს ნელა, დინჯად
ბაბა.
ასეაო, — მამაც ამბობს, —
— აბა!
დედა ტირის,
ცრემლით ალბობს
კაბას.

კვლავ ჯიუტობს ბიჭი ზურა
ცქნაფა,
არ შევჭამო წიწიბურას
ფაფას!
— ნუ დავობთო, — ხატაურა
ფიხრმ,
— ამდენ დავად ცქნაფა ზურა
ღირხო?
ახტა მერე მაგიდაზე
სწრაფად,
თქვა:
მომეცით ფაფით სავსე
ტაფა!
ლოკა,
სვლიბა,
სვლიბა,
ლოკა,
ელაბა...
ჰოდა —
ფაფუ წიწიბურას ფაფა!

ქარი

ზოთა ამირანაშვილი

— თუ იცი, ქარი რა არის? —
ვკითხე ბატარა ხარებას.
— ბაერიაო, რომელსაც
სულ სადღაც მიეჩქარება.

ნატვრა

— მეც კურდღელივით ვყოფ
ეურები მქონდეს ნეტავი,
ეველაფერს გავიგონებდი, —
ამბობს კუდრაჭა ნესტანი.
და გაკვირვებით უყურებს
ბაწაწკინტელა ალუდა:
— რას ამბობ, გოგო, იმხელა
ეურებს დაბანა არ უნდა?!

ბებიასთან სოფელში

ბურაბ კობერიძე

ბაფხულში ჩემთან ჩამოდით,
ბებო სოფლიდან გვითვლიდა,
ჩავედით შვილიშვილები,
ჭიშკართან დიდხანს გვითვლიდა:
— ჩემთან თავი რომ მოიყარეთო,
ორი ჩემი ხნის მოიყარეთო.

ბროწეულის ხე

ზაგ ბროწეულები
ხისლისფერად დაბრაწა,
დიდმა და ბატარამ
თვალები დაბრაწა;
ბე შეშინებული
ვწიოდი, ვკიოდი,
— არიქა, დაჭრილ ხეს
წაუსვეთ იოდი!

ბატვარი ბესო ხიდაშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლის ტახტი

გიორგი ფერეთელი

დედამიწა როცა გახვდა,
ხმა გაისმა მქუხარი:
— ბუხ, ბუხ!..
— რაა ცეცხლს რომ აფრქვევს?
— რა არის და ბუხ არი!

ცეცხლი კვლით გაიტაცეს,
მოიხმარეს უხმარი, —
დაბრძანეს სითბოს დედა,
ტახტს დაარქვეს ბუხარი...
ცეცხლის თესლი შეინახეს, —
ჩაახვიეს ფადარში
და მაშინ თქვა საქართველომ,
სითბოს მებნას გადაგრჩი...
ფაცხაშიაც ცეცხლის ტახტი
ქვებით შეუკერიათ
და იმ დღიდან მოუნათლავთ
ეს ადგილი კერიად...
სითბო ჰქონდათ,
კერა ჰქონდათ,
ჰქონდათ კვარის სანთელი...
აი, ასე მიეჯაჭვა
მზობლიურ მოებს ქართველი.
მდიდარ კომლად ითვლებოდა
ვისაც სითბო ჰქონდა შინ,
ვისაც ედგა მოუშლელად
ცეცხლის ტახტი ოდაში!..

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

პაპას მუზეუმი

მედეა ბლიაძე

— ბერიკაცო, ადე, საკუჭნაოს დალაგებაში მიშველე, ეს ბალღებიც წამოვიდნენ, ცოტას მოგვეხმარებიან, — უთხრა მარო ბებომ შაქრო პაპას. ბებიას და პაპას სიხარულით გაჰყვნენ დაუზარელი ზურიკო და მაყვალა.

— ზურიკო, შვილო, მაგ სკამზე შედექი და ეს უთო მაღლა დადე. — უთხრა ბებიამ ზურიკოს.

— ეს რანაირი უთოა? — გაიოცა მაყვალამ.

— თუჯის უთოა, ნაკვერჩხალით ხურდება.

— ნაკვერჩხალი რაღაა? — იკითხა ზურიკომ.

— ნაკვერჩხალი, შვილო, — ჩაერია საუბარში პაპა, — დამწვარი შეშის ნარჩენია, სანამ ცხელია, ნაკვერჩხალია, რომ გაცივდება — ნახშირი.

— ახლა, შვილებო, — განაგრძო ბებიამ, — ოთახები რადიატორებით თბება. წინათ თუნუქის ღუმელი გვედგა და უთოსთვის ნაკვერჩხალსაც იქიდან ვიღებდით. ბერიკაცო, ამ გახსენებაზე, ეგ ღუმელი მანდ, კუთხეში მიდგი, მე კი ამ სამოვარს მივუჩენ ადგილს, — თქვა მარო ბებომ და ოქროსფერ ნივთს დასწვდა.

— ბებიკო, ეგ რაღაა, ეგ ონკანიანი ნივთი? — იკითხა მაყვალამ.

— ამით, შვილო, ჩაის ვადუღებდით. — უპასუხა ბებიამ და ახლა შემრული ნავთქურას დასწვდა. — ეს ნავთქურაა, ნავთით ვანთებდით და ზედ საჭმელს ვამზადებდით. ახლა გაქათქათებული გაზქურა გვაქვს. გაიხაროს მაგის მომგონმა, დავისვენე, რა მალე მზადდება გაზქურაზე ყველაფერი!..

ზურიკომ ოდნავ შოკეცილი ნივთი აიღო, პაპას მიაწოდა და ჰკითხა, ეს რაღა არისო.

— ეგ საკეცეა, ღუმელში და ბუხარში ამით ვასწორებდით ხოლმე შეშას და ცხელ კეცებსაც ამით ვიღებდით. — უპასუხა პაპამ. — ეჰ, რა ძალიან მიყვარდა ბუხარში მუგუზლის ტკაცა-ტკაცი და ნაღვერდალში ჩაყრილი წაბლის ტკაცუნი.

— მე კი ამ ქოთნით ბუხრის პირას ლობიოს ჩუხჩუხი, ამ კეცით კი ხმიადების და მჭადების მოფცხვნა, ანდა, კეცებშუა ვარიის შებრაწვა, — თქვა მარო ბებიამ და თიხის მაღალყელიანი ქოთანი ერთმანეთზე კოხტად დაწყობილ თიხი კეცებთან დადგა.

პაპა აპეურებს დასწვდა, ჩემი ნიშასა და ნიკორას მოსაგონებლად იყოსო, — ჩაილაპარაკა და თაროზე კოხტად დაალაგა.

— ბებო, პაპა, ეს ამხელა დოქი რისთვის გქონდათ? — იკითხეს ცნობისმოყვარე ბავშვებმა და მიუთითეს ვეება ჩაფზე, რომელიც საკუჭნაოს ერთ კუთხეში, როგორც დედა შვილებში, ისე იდგა პატარა, ლამაზად მოხატულ თიხის დოქებს შორის.

— თქვენ რომ შიგ სამზარეულოში მოგიჩხრიალებთ ონკანიდან წყალი, ჩვენ წყაროს წყალს ვზიდავდით, პატარა დოქებით რას გვეყოფოდა, ამიტომ ვამზადებდით ასეთ ჩაფებს, — უპასუხა ბებიამ.

მერე ბებიას და პაპას მაყვალა და ზურიკოც მიეხმარნენ და კუთხეში ზანდუკი მიდგეს; პაპას ზურჯინი, ჩაბალახი, კარაკულის ქუდი, ქალამნები, ბალიფე შარვალი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, კვეს-აბედი, ჩიბუხი, ბებოს სარტყელ-გულისპირიანი ქართული კაბა, ოქრომკედით ნაქარგი თავსართავი, ცისფერი ბაღდადი, ქინძისთავიანი ჩიხტი, თითისტარი, კვირისტავი... რა არ ელაგა ძველ ზანდუკში.

— მაყვალა, მოდი, ამ საკუჭნაოს მუზეუმი დავარქვათ! — წამოიძახა აღტაცებულმა ზურიკომ.

— დავარქვათ, დავარქვათ, პაპას მუზეუმი, ბებოს მუზეუმი! — თქვეს ბავშვებმა და გახარებულნი ტოლების მოსაყვანად გაიქცნენ.

სპორტის ჯეჯილი

ძალოსნობა

ნოდარ გუგუშვილი

სიმძიმეების აწევა ადამიანმა სიარულთან, რბენასა და ცურვასთან ერთად ისწავლა. შესაძლოა, უფრო ადრეც. მაგრამ ბევრი, ძალზე ბევრი საუკუნე გავიდა მანამ, სანამ ეს წვევა ჯერ მარტივ სანახაობად, მერე კი სპორტულ შეჯიბრებად იქცეოდა. სიმძიმეების აწევა (ჩვენს დროში მას პროფესიული სახელი, ძალოსნობა ჰქვია) ადამიანს თავისი ფიზიკური ძალისა და შესაძლებლობების შესამოწმებლად სჭირდებოდა. საამისოდ ყველაზე მოსახერხებელი ასპარეზი იყო ხალხის თავშეყრის ადგილი — ბაზარი. ძველ ბაზრობებზე განსაკუთრებით დახელოვნებული ოსტატები სიმძიმეებს თეთრმეტი სხვადასხვა ხერხით სწევდნენ და აღტაცებაში მოჰყავდათ ბრბო. თეთრმეტი ხერხი ნიშნავდა იმას, რომ რეკორდების რეგისტრაციაც, თეთრმეტ მოძრაობაში ხდებოდა.

XIX საუკუნის მიწურულს სიმძიმეების აწევამ დაკარგა საბაზრო-საცირკო სანახაობის მნიშვნელობა და წმინდა წყლის სპორტულ შეჯიბრებად გადაიქცა. ამ დროს ძალასთან ერთად დიდ მნიშვნელობას იძენს სიმძიმის დაძლევის ტექნიკა, სპორტსმენის სწორი ტაქტიკური აზროვნების უნარი. მაყურებელს აღარ იზიდავს კუნთებიანი მამაკაცი, რომელიც, ვითომც არაფერია, ტონობით ტვირთს დააქროლებს აღმა-დაღმა. აღარც მხრებზე ზარბაზანგადადებული მთა-კაცის მანჭვა-გრეხა მოსწონს.

სპორტულმა ძალოსნობამ ერთმანეთის გვერდით დააყენა ერთნაირი წონის ათლეტები და ამით მათი შანსები გაათანაბრა. თავდაპირველად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხუთ სხვადასხვა მოძრაობაში; მერე მთელი ოთხი ათეული წლით გაბატონდა კლასიკური სამჭიდი (აჭიმვა, ატაცი, აკვრა); 1972 წლიდან შეჯიბრებები ტარდება ორად ორ მოძრაობაში — ატაცსა და აკვრაში. ხუთჭიდის ჭერიოდში ძალოსანს ოცდახუთი ცდის უფლება ეძლეოდა. 30-იან წლების შემდეგ კი დამკვიდრდა საერთაშორისო სტანდარტი — ყოველ მოძრაობაში სამი მისვლა.

ყველაზე ღონიერი ადამიანები დედამიწაზე, ალბათ, ქართველები ალბათ, ალბათ, ალბათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთელის ოცნება

ბეჟან სვანიძე

აგერ ბურთი,
აგერ მე და
აგერ მოედანი.
სხვა რა მინდა,
თვალიც მიჭრის,
ლონეც მაქვს და ჯანიც.
ბურთს რომ დავდევ,
არ მაშინებს
არც წვიმა, არც ქარი.

გავიწაფე, უკვე მინდორს
შევაჩვიე თვალი...
უსათუოდ უნდა გავხდე
ბურთის ჯადოქარი,
რომ მოვფინო საქართველოს
ეს ხმა სანუკვარი:
დარტყმა!
დარტყმა!
კიდევ დარტყმა!
არის!
არის!
არის!
ბაკურ ლომიძემ აიღო
მეტოქეთა კარი!

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

წაბლა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ზის თებროლე პატარა ძმის, თეიმურაზის აკვანთან, შეტყუპებულ მუხლებზე ნახატებიანი წიგნები ედევს, ათვალიერებს და თან აკვანს არწევს.

თუ ძამიკომ წამოიტირა, — ნანა, ნანა, იავნანაო,- უმღერის კიდეც.

როცა თებროლე თეიმურაზის აკვანთან ზის, არავისთან თამაში არ უნდა, ეს იციან იმ უბნის გოგობიჭებმა და სათამაშოდ არ ეძახიან.

იმ დღეს გარედან ვიღაცამ მაინც დაიძახა:

— თებროლე, თებროლეე!

გოგონა ფრთხილად ადგა, წიგნი სკამზე დადო და ფეხაკრეფით აივანზე გავიდა. ღობის იქით მეზობელი მაკა ბებია დაინახა. გვერდით წაბლა ხბო ედგა.

— მაკა ბებია, მე მეძახი? — გაეხმიანა თებრო.

— ოქროვ, მე ხომ ხეირიანად თვალი არ მიჭრის, შენ გაზრდას, აბა, გზას გახედე, ჩემი გიორგა ხომ არ მოდის?!

— გიორგა მაკა ბებიას უფროსი შვილიშვილია. ტრაქტორისტად მუშაობს.

თებროლე უფრო ახლოს მივიდა მოაჯირთან და გზას გახედა. გზაზე თითო-ოროლა ადამიანი მოჩანდა, ავტომანქანები და ცხენიანი ურმებიც მოძრაობდნენ, ოღონდ ტრაქტორი ვერ შენიშნა. ვერც გიორგის მიამგვანა ვინმე.

— არ ჩანს, გიორგი, მაკა ბებია!

— მაშ რა მეშველება! — დაღონდა მოხუცი, აემ ხბოს საცოდაობით აღარა ვარ!

— დედა კიდევ ვერ უპოვნეთ?

— ვერა, შვილო, ვერა! დაიკარგა, იმის ასავალ-დასავალი ვერ გაგვიგია.

— მგლები შეჭამდნენ ის ტიალები, არა?

— რა ვიცი, გენაცვალე, გიორგამ და მამამისმა ეს ორი დღეა, მთელი ივრის ჭალა და აქეთ ცივ მთის ტყიანი ფერდობები ფეხით შემოიარეს. კვალს ვერ მიაგნეს.

— მამა ამბობს, მაგისთანა ღალიანი, მეწველი ძროხა ჩვენს სოფელში არავის ჰყავდაო!

— ნეტავი ხბო მაინც არ დარჩენოდა ობლად. ეს რომ დაიზმუვლებს, მე გული მიწუხს. ტირის, დედას ეძახის. რა ვქნა, საიდან მოვუყვანო, ბალახის ჭამა ამან არ იცის და რძიან ჯამს ახლოს არ იკარებს, ძუძუს თხოულობს საცოდავი.

მოხუცი ამას რომ ამბობდა, ხბომ თავი ჭიშკრისაკენ მიაბრუნა და დაიზმუვლა: მმუუუ!

— გაიგე, ადამიანო, — თქვა შეწუხებულმა მაკა ბებიამ, — სულ ამ დღეშია, საწოვარა მაინც მქონდეს, რძეს იმით ვაჭმევდი!

— საწოვარა? — იკითხა თებრომ.

— ხო, შვილო, შარშან ჭვრიტოანთ დესპინეს ძროხა ხევში რომ გადაიჩეხა, იმის ხბო საწოვარათი გაზარდეს. იმისთანა მშვენიერი დეკეული დადგა, ავ თვალს არ ენახვება. თებრო, შენს გაზრდას, ერთი კიდევ გახედე გზას, იქნებ ჩემი გიორგა გამოჩნდა, დამპირდა, ფერმაში საწოვარას ვითხოვ და მოგიტანო.

მაგრამ თებროლე აივანზე აღარ იდგა, სადღაც გამქრალიყო. მალევე გამოჩნდა. აივნის კიბეები ნიავივით ჩაიქროლა, სამეზობლო კარში გაძვრა და მაკა ბებიას საწოვარწამოცმული პატარა ბოთლი ხელში ჩაუდო.

— ჩემს ძმას ორი საწოვარა აქვს. ეს ერთი წაბლას, მეორე კიდევ თეიმურაზს, — უთხრა მაკა ბებიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლი

ციცა ქიტიაშვილი

ვის მოუვიდა ახრად
ჰირველად ლეკვის გაზრდა,
ვინ შეიფარა სახლში,
ვინ მოეფერა ნაზად?

როდესაც ჭიმკარს ვაღებ,
მოწყენილსა და დაღლილს
ლაქუცით, კუდის ქნევით
შემეგებება ძაღლი.
თვალში მენთება სხივი
და გულიც მიფანტქალებს,
მიტომ არ ვაკლებ ღიმილს,
მიტომ არ ვაკლებ ალერსს.
ის კი მტერს ხვდება მკლურად,
იმას შეუტევს .სხვა ხმით,
მაგრამ ძაღლურად უყვარს
ჩემი ეზო და სახლი.
ზოგნი ვეძახით მწყვარს,
ზოგს დარაჯად გვეავს ცხვარში,
ზოგჯერ უჯიშო ჰატრონს
ძაღლის ჯიშით ვცნობთ ხალხში.

ვის მოუვიდა ახრად
ჰირველად ლეკვის გაზრდა,
ვინ შეიფარა ქოხში,
ვინ მოეფერა ნაზად?

მხეცის ნაშიერს ძლიერს,
ვინ არ სტოვებდა მშიერს,
ალერსითა და ზრუნვით
უცვლიდა ბოროტ იერს,
ტყეში წააწყდა ლაღი,
ალბათ ფეხმარდი ბალღი,
დაიმეგობრა .იგი
დაარქვა მოკლედ — ძაღლი.
არ ვიცი როგორ, როდის,
არ ვიცი რისთვის, რატომ?
მაგრამ ერთგული მხეცი
დღესაც სდარაჯობს ჰატრონს.
ხელებს ულოკავს, ართობს,
შორს თუა, — ჰატრონს ნატრობს,
დაღუჰულს გაბმით სტირის
და სიკვდილამდე დარდობს.

ვის მოუვიდა ახრად
მაინც იმ მხეცის გაზრდა?
ვინ შეიფარა ქოხში
და მოეფერა ნაზად?

მან, ვისაც უყვარს სითბო,
ჯერა, ოჯახი, სახლი,
გარითმა ასე ტკბილად
სიტყვა „სახლი“ და „ძაღლი“.

სად ნახავთ უფრო ერთგულს, —
სახლის მტრებს უყეფს ძაღლი.

მხატვარი ბიორგი ჩაჩანიძე

მარწყვის ტორტი

ნოდარ კეკელიძე

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

გუშინ მოგვიანებით მიბრუნდნენ შინ თეკლა და დედამისი. თეკლამ ტანთ გამოიცვალა, ხელები გადაიბანა და სავახშმოდ მაგიდას მიუსკუბდა. ამასობაში კი დედამ თეფშები და დანა-ჩანგალი გააწყო მაგიდაზე, მერე ათუხუთხებული ქვაბიც გამოიტანა და თეკლას მიუბრუნდა:

— აბა, გენაცვალოს დედა, გადაიღე, შვილო!

თეკლამ საწნეხს ხელი წაატანა, კისერი წაიგრძელა და დაორთქლილ ქვაბში ჩაიჭყიტა: — ეს რა არის დედიკო, ისევ მჟაუნას სუფი? — თქვა ამრეზით.

— რას იზამ, გენაცვალოს დედა. დღეს ალბათ მამაშენი ხელფასს აიღებს და ხორციანს მერე დგიმზადებთ.

თეკლას აღარაფერი უთქვამს. უხალისოდ გადმოიღო წვნიანი და უხალისოდ შეუდგა წრუპვას, მაგრამ როგორც კი დედა სამზარეულოში გაიაულა, სუფი კვლავ ქვაბში წამოაქოვლა, დანა აიღო და პურის დაჭრა დაიწყო მომცრო ნაჭრებად. მერე დედას გასძახა:

— დედიკო, მოდი, მეორე ვჭამოთ!

— მეორე რომ არ დაიმზადებია! — შემოვიდა დედა.

— როგორ არ დაგიმზადებია, დედიკო! — მიუგო გოგომ, და პურის ნაჭრებზე ანიშნა. — აი, ეს ყველის ნაჭერია, ეს მეხვის ნარჩენია. ეს კიდევ — ხაშლამა.

— უი, მომიკვდეს თავი! სულ აღარ მახსოვდა — ხასიათი გაუსწორა თეკლას დედამ, მაგიდას მიუჯდა და პურის ჭამს შეუდგა.

— ხომ გემრიელია, დედიკო? მამასაც აჭამე!

— აბა რა, — იცინის დედა.

დამით თეკლას ლოგინში შემოესმა მშობლების

— ეხლა მითხარი, გოგონა, სამაგიეროდ რას მოითხოვ ჩემგან? — მიანერგა ქალი სახეალანძულ გოგონას.

— არაფერსაც არ მოვითხოვ! — თავი ჩახარა ბავშვმა.

— არა, არა, ასე არ გამოვა! აბა, წამოდი ჩემთან! — ხელი ჩაჰკიდა ქალმა, საკონდიტერიში შეიყვანა და ლამაზი მარწყვის ტორტი უყიდა.

„ესეც ჩემი სიზმარი! — ძლივს იოკებდა სიხარულს თეკლა, — დღეს გემრიელად დავლევთ ჩაის ყველანი! სადარბაზოსთან მეზობლის გოგო, ნატო დაინახა, კედელთან ატუზულიყო, სახე ხელებში ჩაერგო და მწარედ ტიროდა.

— რა იყო ნატო, რა დაგემართა? — ჰკითხა თეკლამ.

— დედაჩემია ავად, ექიმმა ცხელი ჩაი დაალევინეთო. შაქარი კი ვერსად ვერ ვიშოვე!

ნატოს ერთი წლის მკვდარი ჰყავდა მამა და დედის მეტი არავინ გააჩნდა. თეკლას გული მოეწურა:

— იი, რა გატირებს შე სულელო, შაქარი რად გინდა, ტორტით არ ჯობს ჩაის დალევა?

— ტორტით? — კითხვითვე მიუგო ნატომ და ახლადა დაინახა, რომ თეკლას ტორტის კოლოფი ეჭირა. — კი ჯობს, მაგრამ შეენ? შენ არ გინდა?

— უუ! გუშინ იმდენი ვჭამე, იმდენი, რომ!..

— ვიიმე, თეკლა! — თვალები გაუბრწყინდა ნატოს, — რა კარგი გოგო ხარ!

— წაიღე, წაიღე, ჩქარა, ნუღარ აგვიანებ? — მიაწოდა თეკლამ ტორტი და დაემშვიდობა.

იმ დღეს კრინტი-ხმა არ დაუძრავს თეკლას, ისე შეექცა თავის ულუფა უხორცო სუფს.

საუბარი. „მაშ ხვალ რა უნდა ვქნა? — ამბობდა დედა, — რა გავაკეთო სადილად?“ „ვნახოთ, რაღაცას ვიღონებ! იქნებ ვიშოვო რამე“. — იყო პასუხი. „ეტყობა ხელფასი დღესაც არ აუღია!“ — გაიფიქრა შეწუხებულმა თეკლამ.

— დედი, დედიკო! — დილაუთენია დაჭყიტა თვალები თეკლამ, — იცი, რა სიზმარი ვნახე? ვითომ მამიკოს დიდი-დიდი ტორტი მოეტანა, აი ამხელა! თეთრი-თეთრი, როგორც ბამბა!

— მერე! — სახე გაუცისკროვნდა თეკლას დედას.

— თან კოშკივით იყო და მარწყვები ჰქონდა შემორიგებული. ისეთი გემრიელი იყო, ისეთი, რომ სულ შემეჭამა და თქვენ აღარ დაგიტოვეთ! — ხმა გაებზარა თეკლას.

— ეგ არაფერი, ჩემო კუდრაჭა, — მიეფერა დედა, — მერე რა, ღმერთმა შეგარგოს.

...მთელი დღე უგუნებოდ იყო თეკლა. მაგრამ ქუჩაში რომ გავიდა პურის მოსატანად, გახალისდა, პური იყიდა და ხტუნვა-ხტუნვით გაუყვა ტროტუარს, მერე კი სკვერში გადაუხვია. უცად დიდი ჭადრის ქვეშ, ნაყინის ჯიხურთან საფულე დაინახა და ადგილზე გახევდა. დასწვდა, აიღო და გახსნა. შიგ იმდენი ქაღალდის ფული იდო, რომ ძლივსდა დახურა.

„ნეტა ვინ დაკარგა? ალბათ როგორ დარდობს!“ — მოსვენებას არ აძლევდა ეს ფიქრი.

საღამოს ტელევიზიის დიქტორმა გამოაცხადა, ვიღაცას დიდძალი თანხა დაჰკარგვია და მპოვნელს სთხოვს, ამა და ამ ტელეფონზე დარეკოსო.

დაიმარტოხელა თუ არა თავი, თეკლა ტელეფონს ეცა, ნომერი აკრიფა და გაირინდა.

— გისმენთ? — გაისმა ვიღაც მანდილოსნის ხმა.

თეკლამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო უცნობ ქალს, და მეორე დღისთვის შეხვედრა დათქვეს.

და აი ნაპოვნი საფულე თეკლამ პატრონს დაუბრუნა.

ალექსანდრე ბანძელაძე

არსენას ლექსი

ზოგი თქვენგანი უთუოდ მიხვდა, რომ ეს ხალხური «არსენას ლექსის» ილუსტრაციაა. ზოგს სახლში ჰქონდეს იქნებ ან ენახოს მაინც-ეს წიგნი — «არსენას ლექსი», რომელიც დაასურათა და ულამაზესი მხატვრული ასოებით «დაწერა» კიდეც შესანიშნავმა ქართველმა მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ — თავის დროზე ეერმანიის ქალაქ ლაიფციგში გამართულ წიგნის საერთაშორისო კონკურსზე მან საგანგებო პრიზი მიიღო, როგორც მსოფლიოს ყველაზე ლამაზმა წიგნმა.

ალექსანდრე ბანძელაძე ჩინებული, გამორჩეული მხატვარი იყო — კედელხატულობის, ხატწერის, წიგნის გაფორმების დიდოსტატი. ბავშვებისათვის «არსენას ლექსის» გარდა მას შესრულებული აქვს თქვენთვის ყველასათვის საყვარელი ზღაპრის — ინგლისელი მწერლის რედიარდ კიპლინგის «მაუგლის» ილუსტრაციები. ადრე ის «დილაშიც» მოღვაწეობდა და სიყვარულით აფორმებდა ბავშვებისათვის შეთხზულ ლექსებსა და მოთხრობებს.

ალექსანდრე ბანძელაძე გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი დაუვიწყარი იქნება საქართველოში. დაუვიწყარი იქნება მისი ამაგი ქართველი ბავშვებისთვისაც.

ეს, როგორი იყო

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი, ვიოლონჩელისტი, ესპანელი პაბლო კაზალსი, რომელსაც თანამედროვეები „ხემის მეფეთა მეფეს“ უწოდებდნენ, ამასთან ერთად, დიდი და დიდბუნებოვანი ადამიანი იყო. ნიჭიც და საუკეთესო ადამიანური თვისებებიც მან პატარაობიდანვე გამოამჟღავნა.

მუსიკა მისთვის ბუნებრივი მოთხოვნილება იყო, ლაპარაკი ჯერ წესიერად არც კი იცოდა, რომ სწორად მღეროდა.

ორი-სამი წლისა ნეტარებით უსმენდა თავისი მამის დაკვრას როიალზე — იატაკზე ჯდებოდა, თავს როიალს მიადებდა და ყურდებოდა. რვა წლისა ვიოლინოს უკრავდა ისეთი გრძნობით, რომ თვალებს ხუჭავდა და მთელი არსებით მუსიკას ეძლეოდა, ტოლები ახელებდნენ, ბრმასა გვეხარო. 11 წლისა იყო, რომ პირველად მოისმინა ვიოლონჩელო და ისე გაიტაცა ოცნებამ, ჩელოს დაკვრა ესწავლა, რომ დედამ ბარსელონაში წაიყვანა და მასწავლებელს მიაბარა.

როგორც მუსიკოსი და როგორც პიროვნება, კაზალსი 12 წლის ასაკში უკვე ჩამოყალიბებული იყო.

მისი ბავშვობიდან ასეთ ფაქტს იგონებენ:

ერთხელ, 8 წლისა, ის ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა. მაშინ ცოფის საწინააღმდეგო შრატი არ არსებობდა და ერთადერთი წამალი იყო მდუღარე წყლის ნემსების გაკეთება. ათჯერ შეუშხაპუნეს კუნთებში 8 წლის პაბლოტოს მდუღარე წყალი და არც ერთხელ, არც ერთხელ კრინტი არ დასცდენია, კბილებს აკრაჭუნებდა სიმწრისაგან, მაგრამ არ უტირია.

თითქმის ასი წელი იცოცხლა პაბლო კაზალსმა, მრავალი საპატიო წოდება ჰქონდა, მაგრამ ყველაფერზე ძვირად უდირდა თავისი მშობლიური პატარა ქალაქის — ვენდრელის „საყვარელი შვილის“ წოდება.

დედას „ჩიტი“

მაყვალა მრევლიშვილი



პიესა ორ სურათად

მონაწილენი: დალი, ვაჟა და ერთი ჩიტი.

I სურათი

(ოთახი, დალიმ და ვაჟამ, თურმე, ცუგრია აბანავეს, ცუგრია გაპქცევიათ, დაანან ხელებგაწუწულები).

დალი — ნახე, სუფთა ოთახი როგორ ავატალახეთ!

ვაჟა — რატომ არ ჩერდებოდა, იმიტომაც გავლახე! დახე, როგორ გაგვექცა, დაბანვა სძულს ძალიან!

დალი — ეგეც შენ გგვანებია, ჩემო კარგო ძამია! უი, როგორ დაჭოჭდა, ტყლაპა-ტყლუპი გაგვიდის.

ვაჟა — ხელად მოვასუფთავებთ, სადარდელი რა გვიჭირს. ცხვირსახოცი მათხოვე!

დალი — არა, სუფთად ვინახავ.

ვაჟა — მაშ წინდებით მოვწმინდო?

დალი — წინდის მოსმა ვინ ნახა!

ვაჟა — ჩვენი საქმე, დაიკო, ეხლა კარგა მოეწყო, წინსაფარი მიტომ გაქვს, ზედ რომ ჭუჭყი მოეცხოს, მომეც, ჩქარა მოვაშროთ, ორრემ დედა გაიგებს.

დალი — სულ ცოტათი... წაიღე... მხოლოდ კუთხით, სულ არა, ვაი, როგორ გათხუნე... ნუდარ უსვებ, ნუდარა. (ტირილს აპირებს) დედაც მოდის! რაღა ვქნათ, დედას ასე ელიან?..

ვაჟა — წავალ, ცუგას მოვეგებნი, ვაცივდება, სველია. არ იტირო, მოიტა, მე დავმალავ ახლავე, ვერავინ ვერ გაიგებს, ვედარსად ვერ ნახავენ. (მოხსნის წინსაფარს და გარბის).

დალი — წინსაფარიც წაიღო, გათხუპნულიც დამტოვა, ეხლა რა ვქნა მარტომა!

(ფარდა)



II სურათი

(თურმე დედა გაუწყრა ორივეს და დასაჯა. დალი დაღონებული ზის, ვაჟა შემოიპარება)

ვაჟა — მითხარ, ჩემო დაიკო, დედამ როგორ გაიგო?

დალი — მე არ ვიცი, გაჯავრდა, ცუგა ვინ დაბანაო, გაწშენდილი ოთახი ტლაპოს დაეშგვანაო, თქვენი ქცევის ამბავი ჩიტმა მომიტანაო.

ვაჟა — ი, რა ცუდი რამ არის, სკვინჩა, ენატანია, დედა როცა მიწყრება, სულ ამისი ბრალია, ხელი ვერ გავანძრიე, ხელად ამბავს მიუტანს, მითვალთვალებს ის ჩიტი, ყველგან დამდევს ჯიუტად, დამაცადოს, დავიჭერ, სულ ბუმბული მოებნას!

დალი — წამო, ჩემო ძამიკო, მეც გიშველი მოძებნას.

(ამ დროს ჩიტი შემოჯდება ფანჯარაზე და მღერის).

ვაჟა — აგერ ჩიტიც! ჩიორავ, დედას ჩიტი შენ თუ ხარ? მე რომ საქმეს ვაკეთებ, შენ იმაზე რად სწუხარ! რად უთხარი დედიკოს, ვინ გთხოვს, მყავდე დარაჯად, ეხლა ჩემი გულისთვის აი, დალიც დასაჯა...

ჩიტი — რათ მიწყრები ჩიტუნას, — ეხლაც ძლივს მოგაგენით!
სად მაქვს ძალა მაგდენი, სად მაქვს თვალი მაგდენი?
ის მართალი ჩიტუნა დედის კარგი გულია,
ყველგან თან რომ დაგყვებათ, — მისი სიყვარულია.
შშობელს გინდა ეძინოს, გინდ შორს იყოს ძალიან,
გული შენთან დარჩება, შენთვის მუდამ სცალია.
ეგ მართალი ჩიტუნა დედის ორთავ თვალია,
ყველას ხედავს შშობელი, შვილს რაც დაუმალია.
ეცადეთ, რომ სიმართლე
თვითონ უთხრათ ყოველი.
მაგრამ... შშია, ბავშვებო,
საკენკისთვის მოველი.
(ბავშვები საკენკს დაუყრიან)

ვაჟა — ჭამე, ჩვენო სტუმარო,
მერე ტკბილად იძინე.

დალი — მეტჯერ აღარ დავმალავ,
ჩუმად რაც ჩავიდინე.

ვაჟა — არ გეწყინოს, ჩიტუნავ,
მე რომ ცილი დაგწამე,
ხვალაც მოდი, გეთაყვა
და სადილი აქ ჭამე.

(ფარდა)

საქართველო დღეგრძელობს

ლიდა სტვილია

ვარდი ვარდობს... მზე მზეობს
და ენძელა ენძელობს,
ჩემი ნაბრილობევი
საქართველო მზეგრძელობს!



საქართველოს მთები არის ჩემი ფრთები

ღმერთმა ნუ გამაყოლოს
ქარს ცხადად, ნუმც ფიქრით
საქართველოს გალმა,
საქართველოს იქით!..

... საქართველოს მთები
არის ჩემი ფრთები!

... გინდ მეხროლეთ ვარდი,
გინდაც შავი ქვები,
საქართველოს იქით
მე არ გავფრინდები!

მხატვარი გიორგი როინიშვილი

ოსთაფული

არს გარგებს სიმძიმიდი, ოსარგებდო ცრემლთა დენა;
არ გარდავ გარდოუფლად მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამაცისა მოქირვება, ქირთა თმენა,
არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

მოხერხებული დალაქი

ატულ რანჯპანი

მხატვარი ზაურ დეისაძე

ერთ სოფელში ერთი დალაქი ცხოვრობდა. თავის სამუშაოსთვის ხშირად ქალაქში უხდებოდა ჩასვლა. ქალაქი კი სოფლიდან შორს იყო. გზად დალაქს ერთი დაბური ტყე ჰქონდა გასავლელი და როცა ქალაქს წასვლა უხდებოდა, სულ შიშით იყო ატანილი, ვეფხვს არ გადავეყაროო.

ერთ დღესაც, როცა დალაქი ტყით მიდიოდა, ბუჩქებიდან ვეფხვმა ისკუპა, დალაქის წინ დახტა და უთხრა მას: რა ხანია, კაცის ხორცი არ მიჭამია და აი, დღეს ჩემს დიდი ხნის სურვილს ავისრულებო!

დალაქი არ დაიბნა. ჩანთიდან სარკე ამოიღო, ვეფხვს ცხვირწინ დაუჭირა და მოჩვენებითი სიმშვიდით ასე უთხრა: ჩემმა მბრძანებელმა ორი ვეფხვის დასაჭერად გამომგზავნა ამ ტყეში. შენ რომ აქ ხედავ, ის უკვე დავიჭირე, და აი, მეორის ძებნაში შენც შემომხვდიო!

ვეფხვმა რომ სარკეში თავისი ანარეკლი დაინახა, მართლა თავისი მოდგმის დატყვევებული წარმომადგენელი ეგონა, ძალიან შეეშინდა, იფიქრა, თუ ამ კაცმა ერთი ვეფხვი უკვე დაიჭირა, მეც აღარ გამიშვებს ჩემს გზაზეო, და კუდმოძუებულმა ისევ უკან, ტყეში ისკუპა. მას შემდეგ დალაქი უშიშრად დადიოდა ქალაქში.

მართლად არის ნათქვამი: ხერხი სჯობია ღონეს. ყოველ საქმეს კაცმა გონებით უნდა მოჰკიდოს ხელი.

ინდი ენიდან თარგმნა **გურამ გიგინიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც თაფლი უნდა...

ლია კობალაძე

ადანდალი-დანდალი,
ფიჭა თაფლი სად არი?
თაფლის სუნი სცემია,
მორბის ბელი ბანდალით.
სკა გატეხა ფარულად
ციხე-კოშკის ბადალი,
ჰირი ჩაიტკბარუნა
ნაალაფარ-ნადავლით.
გამოეწოო ფუტკარი,
გარჯა-შრომით გართული;
— გეკადრება, დათუნი,
სხვის ბინაში ფათური?
ჩემი მწარე ნესტარი
არ გაშინებს, ნეტავი?
ვეღარ გადამირჩები
დათვო, დაუჩხვლეტავი!
აგიხსნია ურდული,
სკაში ჩაგიხედია,
მერე, ბურტეულ-ბურტეულით
თაფლი ჩაგიხეთქია.
ვინც სხვის კუთვნილს იპარავს,
ვინც სხვის ბინას გაძარცვავს,
იმას ჰქვია ქურდი და
იმას ჰქვია ბაცაცა.
ვისაც თაფლი უნდაო,
ზარმაც-ძალისგუდაო,
იმან უნდა იშრომოს
უოქმელად და უდავოდ.
თორემ, უშრომელასო
(ჰკითხე, თუ არ გჯერავსო!)
ცუგა წაამუნძულებს,
დრუნჩავ, სადაც ჯერ არსო!..

მხატვარი ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემიგრანტი

ნოდარ შამანაძე

ატი-ბატი, ატი-ბატი,
რა ეოფილა ემიგრანტი:
თურმე არ აქვს საკუთარი
არც სამშობლო, არც მამული,
უცხო ცის ქვეშ უცხო ხალხში
ცხოვრობს დამწვარ-დადაგული.
ატი-ბატი, ატი-ბატი,
ცოდვა არის ემიგრანტი!..

თეთნულდი

იცით, თეთნულდი რა არის?
ძალიან დიდი მთა არის.
მწვერვალზე ასვლა ძნელია.
განა შუკა და გზა არის?
უფსკრულებია მრავალი,
ეველა უფსკრული ღრმა არის.
ქარი და ქარაშოტია,
ეინული კიდევ სხვა არის...
ნაბამ თქვა, თორემ რა ვიცი,
ჯერ არ მინახავს, რა არის!

გულადი

რენე ამხანაგს უყვებოდა, მიწისძვრა ვნახეო.
— ალბათ შეგეშინდა, არა?! — ჰკითხა ამხანაგმა.
— არა, — მიუგო რენემ, — მიწა ჩემზე უფრო კანკალებდა!

ჯიმი

— ღმერთო ჩემო, რას დამსგავსებიხარ! — გაუკვირდა მამა ჯიმს.
— ტალახში ჩავვარდი, — მიუგო პატარამ.
— რაო?! ამ ახალი შარვლით ჩავარდი?
— რა მექნა, გახდა ვეღარ მოვასწარი!

თარგმნა იზო სადრაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამოსანი

მირიანი მარცვალაშვილი



ხელში აიღებ და ხედავ!
არის, ვით კითხვის ნიშანი,
მას ყველა გლეხი აქებდა
გაჭრით და ბეგრძე-სიგანით.
მეცნიერული მეთინდვრე
ძმა გამოუწნდა დამხმარე,
ახლა ისენებს, სხვენში დევს,
კარგი შემცვლელი ახარებს.

ამოგანა

ზოთა ამირანაშვილი

(სიტყვის გადასმა ისე, რომ ერთი სიტყვიდან სხვა სიტყვა მივიღოთ)

დიდ ქვას რაცა ჰქვია,
ალბათ კარგად გახსოვს,
გამოიცვლის ადგილს
წინა ორი ასო. —
საკრავია იგი,
რომელია, მითხარ,
საცეკვაოდ გიწვევს,
ნუ აყოვნებ დადხანს.

მეცარბოლეკ

(სიტყვის რომელიმე ასოს შეცვლით მიღებული მეორე სიტყვა).

ჯერ ის ციფრი მომიძებნე,
დათვლას თავს რომ არიდებს,
თუ რიცხვს მარჯვნივ ამოუდგა,
უცებ ათჯერ ადიდებს.
შუაში რომ ხმოვანი აქვს,
შეუცვალე ახლავე, —
რკინის სქელი ფირფიტაა,
ცხენს რომ ჩლიქზე აკრავენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კროსვორდი

თავსატეხი გასართობები ყველას ძალიან გიყვართ და ბევრიც ამოგიხსნიათ, მაგრამ ყველამ ალბათ არ იცის, რატომ ჰქვიათ მათ ესა თუ ის სახელი.

რას ნიშნავს კროსვორდი?

«კ რ ო ს » ინგლისური სიტყვაა და მისი მნიშვნელობებია ჯვარი, გზაჯვარედინი, გადაჯვარედინება, ურთიერთგადაკვეთა.

«უ ო რ დ », ინგლისურად არის «სიტყვა». გამოდის, რომ კროსვორდი ურთიერთგადამკვეთი სიტყვების გამოცნობაზე აგებული თავსატეხია. იმედია, იმასაც დაიმახსოვრებთ, რაც ზემოთ გითხარით, და ქვემოთ მოყვანილ კროსვორდსაც სწორად ამოხსნით.



ᲗᲐᲠᲐᲯᲣᲚᲐᲓ: 1. სოფელი, სადაც მოხდა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.
2. ჭადრაკის ფიგურა, რომელიც, თუ მოინდომებს, სულაც არ მოძრაობს ისე ნელა, როგორც ცხოველი, რომლის სახელიც მას ჰქვია.
3. მუსიკალური გამის ერთ-ერთი ბგერა.
4. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 5. მხარიღლივ გადასაკიდებელი ჩანთა. 6. ქართული ხორციანი ცომეული საჭმელი, მთაში გავრცელებული. 7. მთელი, დაუნაწევრებელი, განუყოფელი. 8. ქვეყნის ნაწილი.

მთავარი რედაქტორი **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲩᲐᲚᲐᲣᲠᲘ**

მასტერგამგები ᲛᲘᲜᲐ ᲒᲐᲛᲒᲠᲔᲚᲘᲫᲔ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲠᲔᲚᲝᲑᲐ (ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲫᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ Ქ. №6)
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲠᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ „ᲡᲐᲥᲠᲐᲯᲘᲐᲚᲘ"
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ №14, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 99-41-30, 93-16-32

მაგიერი **ᲨᲝᲗᲐ ᲮᲝᲯᲐᲣᲜᲔᲚᲘ**

ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ **ᲖᲘᲠᲐᲠᲓᲘ ᲠᲝᲠᲓᲘᲐᲜᲘᲫᲔ**
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ **ᲐᲚᲝᲔ ᲬᲘᲠᲘᲗᲘᲫᲔ**

გამოდის 1991 წლიდან
ბეჭდავს „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲠᲔᲚᲝᲑᲐ" 07.96. ᲛᲘᲜᲘᲭᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲠᲝ 10.52
ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ: 60X90/8, ᲝᲤᲡᲔᲢᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ, ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 20.000
ᲨᲕᲔᲣᲚᲘ № 1532

გამომცემლობა **ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ**
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ფასი 1 მან. 60 კაპ.

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ბესო ზუბაშვილი

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

 დაეხმარეთ ბავშვებს სათამაშოების აწყობაში.